საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

ა ქ ტ ი

№ 23/00 „14" ივნისი 2010 ქ. თბილისი

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"
ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
ილია გოცირიძე
„13" ივნისი 2010 წელი

ეგზ.N2

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში
2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ფინანსური
აუდიტის შედეგების შესახებ

2010

თბილისი, 0144, ქეთევან წამებულის გამზ. 96
ტელ: +(995 32) 438-438; ფაქსი: +(995 32) 438-136; www.control.ge

შინაარსი/საძიებელი:

ნაწილი I – შესავალი 3

ნაწილი II – ძირითადი ტექსტი 4

1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა .....

ა) სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების, ასევე მათი საკასო და ფაქტობრივი შესრულების მდგომარეობა 4

ბ) სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო და სხვა მიზნობრივი ფონდებიდან სახსრების გამოყოფისა და ათვისების მდგომარეობა 7

გ) გრანტის (ფულადი და სასაქონლო) მიღების, ათვისების და ანგარიშგებაში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად ასახვის მდგომარეობა.....8

დ) დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის მდომარეობა და რეალობა 8

2. ფინანსური ანგარიშებისა და ანგარიშგების შედგენის შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან და მათი წარდგენის მდომარეობა.....9

3. მხარჯავი დაწესებულების მიერ „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პრიორიტეტებისა და ამ პრიორიტეტების მისაღწევად განხორციელებული პროგრამებისა და ღონისძიებების შედეგების მდომარეობა.....16

ნაწილი III - აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი 23

I. შესავალი

აუდიტის საფუძველი: საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 10 მარტის N 25/43 ბრძანება.

აუდიტის ჯგუფის შემადგენლობა: საქართველოს კონტროლის პალატის მთავარი აუდიტორი თეიმურაზ კილაძე (ჯგუფის ხელმძღვანელი) და აუდიტორი თამარ ფიცხელაური.

საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 16 აპრილის N45/43 ბრძანებით აუდიტის ჯგუფის შემადგენლობიდან, 2010 წლის 12 აპრილიდან გამოყვანილ იქნა მთავარი აუდიტორი თეიმურაზ კილაძე.

აუდიტი დაიწყო 2010 წლის 10 მარტს და დამთავრდა 2010 წლის 23 აპრილს.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო განთავსებულია ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. N 12.

შემოკლებანი:

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო - სამინისტრო
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ფინანსთა სამინისტრო

II. ძირითადი ტექსტი

1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა

1.1. აუდიტის შედეგად დადგენილი გარემოებები და მათი შეფასება:

<u>ა) სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების, ასევე მათი საკასო და ფაქტობრივი შესრულების მდგომარეობა</u>

2008 წლის 30 დეკემბრის „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბიუჯეტი (ორგანიზაციული კოდი 25 00) განისაზღვრა 529,662.9 ათასი ლარის ოდენობით (მ.შ. საბიუჯეტო სახსრები - 291,787.3 ათასი ლარი და კრედიტები და გრანტები - 237,875.6 ათასი ლარი).

წლის განმავლობაში სამინისტროს (მხარჯავი დაწესებულების) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილება (გეგმის

დაზუსტება) განხორციელებულია 22 - ჯერ, რაზეც წარმოდგენილი იქნა ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების შესაბამისი ცნობები. საბოლოოდ დაზუსტებულმა გეგმამ 558,382.8 ათასი ლარი შეადგინა. აღნიშნული თანხები ხარჯების კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

ხარჯების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა
1.ხარჯები	195,370.6	189,864.2	174,883.9	207,255.7	32,371.7
1.1 შრომის ანაზღაურება	6,827.1	7,359.9	7,359.5	7,359.5	0
1.2 საქონელი და მომსახურება	37,034.9	37,015.8	36,841.1	38,063.7	1,222.6
1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	-	30,991.4	30,991.4
1.5 სუბსიდიები	150,033.4	144,185.8	129,493.1	129,650.9	157.8
1.6 გრანტები	0	0	0	0	0
1.7 სოციალური უზრუნველყოფა	25.0	48.7	48.4	48.4	0
1.8 სხვა ხარჯები	1,450.2	1,254.0	1,141.8	1,141.8	0

შენიშვნა: სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ასევე, წლიური საბიუჯეტო კანონით დამტკიცებული პროგრამებისა და ღონისძიებების ბიუჯეტების შესრულების წლიური ანგარიშები აქტს თან ერთვის დანართის სახით.

- საქონელი და მომსახურების მუხლში სხვაობა საკასო და ფაქტობრივ ხარჯებს შორის გამოწვეულია:

ა) ოფისის ხარჯების ქვემუხლში წლის განმავლობაში გაიხარჯა წლის დასაწყისში ნაშთის სახით არსებული 166.7 ათასი ლარის ღირებულების სხვადასხვა სახის მატერიალური ფასეულობა;

ბ) წარმომადგენლობითი ხარჯების ქვემუხლში წლის ბოლოს ნაშთად დარჩა სტუმრების მიღებისა და შეხვედრებისათვის განკუთვნილი 2.5 ათასი ლარის ღირებულების მარაგები;

გ) რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ქვემუხლში ნაშთად დარჩა რიკოთის გვირაბის მომსახურე პერსონალის 1.5 ათასი ლარის ღირებულების უნიფორმები და ინვენტარი;

დ) ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების ქვემუხლში წლის ბოლოს ნაშთად დარჩა 1.4 ათასი ლარის ღირებულების ავტოსაწვავის ტალონები;

ე) სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ქვემუხლში გზების მოვლა-შენახვის ღონისძიებებზე გაწეულ მომსახურებაზე წლის ბოლოს წარმოიშვა 1,061.3 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება;

- ძირითადი კაპიტალის მოხმარების ქვემუხლში, დარიცხული ცვეთისა და ნორმირებული შემთხვევითი დაზიანების შედეგად, სამინისტროს მფლობელობაში არსებული ძირითადი აქტივების ღირებულება შემცირებულია 30,991.4 ათასი ლარით;

- სუბსიდიების მუხლში სხვაობა საკასო და ფაქტობრივ ხარჯებს შორის გამოწვეულია გზების მშენებლობასთან დაკავშირებით წარმოშობილი 157.8 ათასი ლარის ოდენობის კრედიტორული დავალიანებით;

რაც შეეხება არაფინანსურ აქტივებს:

არაფინანსური აქტივების ზრდა დამტკიცებული გეგმით განისაზღვრა 355,568.2 ათასი ლარის, ხოლო დაზუსტებულით 361,406.2 ათასი ლარის ოდენობით. ამ მუხლში გადახდამ 337,449.0 ათასი ლარი შეადგინა.

- სამინისტროს წლის დასაწყისში ნაშთად ერიცხებოდა 902,273.9 ათასი ლარის ნარჩენი ღირებულების ძირითადი აქტივები. წლის განმავლობაში შესყიდვით, იმავე დონის სახელმწიფო ერთეულიდან უსასყიდლოდ და გრანტის სახით მიღებული აქვს 318,260.2 ათასი ლარის ღირებულების, ხოლო იმავე დონის სახელმწიფო ერთეულზე უსასყიდლოდ გადაცემულია და ძირითადი კაპიტალის მოხმარების სახით (ცვეთა, ჩამოწერა) გასულია 194,969.7 ათასი ლარის ძირითადი აქტივები. წლის ბოლოს სამინისტროს ნაშთად ერიცხებოდა 1,025,564.4 ათასი ლარის ნარჩენი ღირებულების ძირითადი აქტივები;

- სამინისტროს წლის დასაწყისში ნაშთად ერიცხებოდა 1,992.5 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების მატერიალური მარაგები. წლის განმავლობაში შესყიდვითა

და იმავე დონის სახელმწიფო ერთეულიდან უსასყიდლოდ მიღებული აქვს 8,013.4 ათასი ლარის ღირებულების, ხოლო იმავე დონის სახელმწიფო ერთეულზე უსასყიდლოდ გადაცემულია და გახარჯულია 6,902.0 ათასი ლარის მატერიალური მარაგები. წლის ბოლოს სამინისტროს ნაშთად ერიცხებოდა 3,103.9 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების მატერიალური მარაგები;

- სამინისტროს წლის დასაწყისში ნაშთად ერიცხებოდა 814.0 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების არაწარმოებული აქტივები. წლის განმავლობაში შესყიდვითა და იმავე დონის სახელმწიფო ერთეულიდან უსასყიდლოდ მიღებული აქვს 1,401.1 ათასი ლარის ღირებულების, ხოლო იმავე დონის სახელმწიფო ერთეულზე უსასყიდლოდ გადაცემულია 163.3 ათასი ლარის არაწარმოებული აქტივები. წლის ბოლოს სამინისტროს ნაშთად ერიცხებოდა 2,051.8 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების არაწარმოებული აქტივები.

- ვალდებულებების კლება დამტკიცებული გეგმით განისაზღვრა 7,255.0 ათასი ლარის, ხოლო დაზუსტებულით 7,112.5 ათასი ლარის ოდენობით. ამ მუხლში გადახდამ ასევე 7,112.5 ათასი ლარი შეადგინა.

როგორც ცხრილიდან ჩანს სხვაობა დაზუსტებულ ბიუჯეტსა და გადახდას შორის 38 937,5 ათასი ლარია, რაც დაზუსტებული ბიუჯეტის 7%-ს შეადგენს. წარმოდგენილი ინფორმაციით, აღნიშნული გამოწვეული იყო 2009 წლის განმავლობაში წარმოქმნილი სხვადასხვა მიზეზებით (თანხების აუთვისებლობით, მსოფლიო ბანკთან სატენდერო პროცედურების გახანგრძლივების გამო არ იქნა გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულება და ა.შ.).

<u>გ) სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო და სხვა მიზნობრივი ფონდებიდან სახსრების გამოყოფისა და ათვისების მდგომარეობა</u>

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 30 ოქტომბრის N 808 განკარგულებით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – წყლით უზრუნველყოფის რეგიონული განვითარების სააგენტოს, შპს „აღმოსავლეთის წყლისათვის" გადასაცემად, ყვარლის მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოთა შესრულებისათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო 189.0 ათასი ლარი. რაც შეეხება ამ თანხის ათვისების მდგომარეობას, თანხა გამოყოფილი

იქნა წლის ბოლოს და სამინისტროს ამჟამად სამუშაოთა შესრულების შესახებ ინფორმაცია არ გააჩნია.

<u>გ) გრანტის (ფულადი და სასაქონლო) მიღების, ათვისების და ანგარიშგებაში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად ასახვის მდგომარეობა</u>

2009 წლის განმავლობაში სამინისტროს ფულადი სახით მიღებული აქვს 395.2 ათასი ლარის ოდენობის გრანტი, საიდანაც 58.1 ათასი ლარი სსიპ - „წყლით უზრუნველყოფის რეგიონალური განვითარების სააგენტოსათვის" გადარიცხულია გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ (ხელშეკრულების თანახმად ათვისება უნდა განხორციელდეს 2010 წლის 15 მაისამდე), ხოლო დანარჩენი 337.1 ათასი ლარი „რეგიონალური განვითარების პროგრამის" (ორგანიზაციული კოდი 25 06 01) ფარგლებში სსიპ - „ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრისათვის" გადარიცხულია პოლონეთისა და ლიტვის მთავრობებისა და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) მიერ. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად თანხა ათვისებული იქნა წლის განმავლობაში.

2009 წლის განმავლობაში სამინისტროს სასაქონლო გრანტის სახით გაეროს განვითარების პროგრამისაგან - (UNDP) მიღებული აქვს 70.8 ათასი ლარის ღირებულების ორი ავტომანქანა - „ტოიოტა ლენდკრუიზერი" და „ჰიუნდაი ტუქსონი".

აღნიშნული გრანტები ანგარიშგებაში ასახულია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N 364 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად.

<u>დ) დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის მდომარეობა და რეალობა</u>

განხილულია მე-2 საკითხში

2. ფინანსური ანგარიშებისა და ანგარიშგების შედგენის შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან და მათი წარდგენის მდგომარეობა

2.1. აუდიტის შედეგად დადგენილი გარემოებები და მათი შეფასება:

სამინისტროს საფინანსო სამსახურის მიერ ფინანსური ანგარიშები და ანგარიშგება შედგენილია და წარდგენილია „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა" და „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N 364 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად.

საბალანსო ანგარიშგება 2010 წლის 1 იანვრისათვის

	ა/გ შენიშვნა	31.12.2008	31.12.2009
არაფინანსური აქტივები			
წარმოებული აქტივები			
ძირითადი აქტივები	1	902,273,887.00	1,025,564,384.00
მატერიალური მარაგები	2	1,992,516.00	3,103,901.00
სულ წარმოებული აქტივები		**904,266,403.00**	**1,028,668,285.00**
არაწარმოებული აქტივები			
მიწა	3	813,997.00	2,051,742.00
სულ არაწარმოებული აქტივები		**813,997.00**	**2,051,742.00**
სხვა დებიტორული დავალიანებები	4		
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		3,500,048.00	67,545,103.00
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ		10,881.00	8,808.00
საგადასახადო მოთხოვნები		17,498.00	25,775.00
სხვადასხვა დებიტორული დავალიანებები		23,285,671.00	16,102,141.00
სულ სხვა დებიტორული დავალიანებები		**26,814,098.00**	**83,681,827.00**
ფინანსური აქტივები			
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში		0.00	7,275.00
საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ბანკში		41,964.00	28,278.00
სავალუტო ანგარიში ბანკში		129,694.00	0.00
სანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ხაზინაში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის		0.00	58,100.00
დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში		19,200.00	22,800.00

სულ ფინანსური აქტივები		**190,858.00**	**116,453.00**
სულ აქტივები		**932,085,356.00**	**1,114,518,307.00**
კაპიტალი			
წმინდა ღირებულება		917,010,833.00	1,098,527,131.00
სულ კაპიტალი		**917,010,833.00**	**1,098,527,131.00**
ფინანსური ვალდებულებები			
სესხები		1,243,640.00	0.00
სულ ფინანსური ვალდებულებები		**1,243,640.00**	**0.00**
სხვა კრედიტორული დავალიანებები	5		
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან		13,038,033.00	15,635,907.00
საგადასახადო და ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები		623,718.00	107,256.00
მომუშავეებთან და სტიპენდიანტებთან დაკავშირებული ვალდებულებები		168,732.00	170,359.00
სხვადასხვა კრედიტორული დავალიანებები		400.00	77,654.00
სულ სხვა კრედიტორული დავალიანებები		**13,830,883.00**	**15,991,176.00**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**932,085,356.00**	**1,114,518,307.00**

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები საბალანსო ანგარიშგებასთან დაკავშირებით:

N1 - ძირითადი აქტივები:

	შენობა-ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	სხვა ძირითადი აქტივები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივები	სულ
ნაშთი 31/12/2008	663,366,619	682,826	1,931,017	9,600	236,092,540	191,285	902,273,887
მატება							
შესყიდული	165,586,902	541,603	393,864	42,375	124,057,483	515	290,666,970
იმავე დონის სახემწიფო ერთეულიდან	17,533,198	613,975	1,098,038	459	8,276,697		27,522,368
უსასყიდლოდ გრანტებით		70,813					70,813

გასვლა							
იმავე დონის სახელმწიფო ერთეულზე უსასყიდლოდ	280,037		885		163,653,150		163,934,072
ცვლა	30,184,806	238,252	562,275	6,009		10	30,991,353
ნაშთი 31/12/2009	816,021,876	1,670,965	2,859,758	46,425	204,773,570	191,790	1,025,564,384

როგორც წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, 2009 წლის განმავლობაში სულ გრანტის სახით მიღებულ იქნა 70,8 ათასი ლარის სატრანსპორტო საშუალებები („ტოიოტა ლენდკრუიზერი" და „ჰიუნდაი ტუქსონი"). ამასთან, იმავე დონის სახელმწიფო ერთეულიდან უსასყიდლოდ მიღებულ იქნა 27 522,4 ათასი ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები, რაც მთავარი ბუღალტრის ახსნა-განმარტებით მიღებულია გაეროს განვითარების ფონდიდან (UNDP), რომელთაგან („ტოიოტა ლენდკრუიზერი" დარჩა სამინისტროს აპარატში, „ჰიუნდაი ტუქსონი" კი გადაეცა სსიპ - „ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრს".

რაც შეეხება გასვლას, ის წარმოადგენს იმავე დონის სახელმწიფო ერთეულზე უსასყიდლოდ გადაცემულ 163 934,1 ათასი ლარის ღირებულების ძირითად აქტივებს, რაც მთავარი ბუღალტრის ახსნა-განმარტებით რეალურად წარმოადგენს საავტომობილი გზების დეპარტამენტში დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიშზე რიცხული ძირითადი აქტივების (მშენებარე გზები და მათთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურული აქტივები) დასრულების შემდეგ გადატანას სხვა ნაგებობების ანგარიშზე.

N2 - მატერიალური მარაგები:

	ნედლეული და მასალები	ფულადი დოკუმენტები	სათადარიგო ნაწილები	სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები	სულ
ნაშთი 31/12/2008		59,463.00	7,493.00	1,925,560.00	1,992,516.00
მატება					
შესყიდული	6,183,372.00	459,093.92	33,427.00	607,631.38	7,283,524.30

იმავე დონის სახელმწიფო ერთეულიდან უსასყიდლოდ მიღებული		4,804.00		725,063.00	729,867.00
გასვლა					
იმავე დონის სახელმწიფო ერთეულზე უსასყიდლოდ გაცემა	5,250,402.00			363,488.00	5,613,890.00
საქონლით და მომსახურებით	83,874.00	452,274.17	33,375.00	718,593.13	1,288,116.30
ნაშთი 31/12/2009	849,096.00	71,086.75	7,545.00	2,176,173.25	3,103,901.00

როგორც ზემოაღნიშნული ცხრილიდან ჩანს, ნედლეული და მასალების ნაშთი 2009 წლის დასაწყისისათვის არ ყოფილა, ხოლო წლის განმავლობაში საავტომობილი გზების დეპარტამენის მიერ შესყიდული იქნა 6,183,372 ლარის ღირებულების ნავთობ-ბიტუმი, რაც შემდგომში ძირითადად გადატანილ იქნა დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიშზე, ხოლო მცირე ნაწილი გახარჯულ იქნა გზების მოვლა-შენახვის სამუშაოებზე. ფულადი დოკუმენტები ძირითადად წარმოადგენს შესყიდულ საწვავის ტალონებს. სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგების საწყისი ნაშთი 1,925,560 ლარის ოდენობით, უმეტესად შეიცავს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საქმიანობის შედეგად მიღებულ მეორად მარაგებს (გზების და ხიდების დაშლისაგან მიღებული მილები, პარაპეტები, ხიმინჯები და ა.შ.), რაც გამოიყენება გზების კაპიტალურ მშენებლობაში და მიმდინარე შეკეთებაში, ასევე სამინისტროს სისტემის დაწესებულებების საოფისე ინვენტარსა და მოწყობილობებს. წლის განმავლობაში სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები გაზრდილია შესყიდვით - 607,631 ლარით, ხოლო უსასყიდლოდ - 725,063 ლარით, საიდანაც 363,488 ლარის მარაგები გადაცემულია უსასყიდლოდ (რეალურად ხდება მათი კაპიტალიზაცია დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიშზე) და 718,593 ლარის მარაგები ჩამოწერილია ხარჯებში.

<u>N3 - არაწარმოებული აქტივები:</u>

	მიწა	სულ

ნაშთი 31/12/2008	813,997.00	813,997.00
მატება		
შესყიდული	746,385.00	746,385.00
იმავე დონის სახელმწიფო ერთეულიდან უსასყიდლოდ მიღებული	654,686.00	654,686.00
გასვლა		
იმავე დონის სახელმწიფო ერთეულზე უსასყიდლოდ გაცემა	163,326.00	163,326.00
ნაშთი 31/12/2009	2,051,742.00	2,051,742.00

2009 წლის განმავლობაში სამინისტროს სისტემაში შესყიდულია 746,385 ლარის მიწა გზების მშენებლობისათვის. უსასყიდლოდ მიღებულია 654,686 ლარის მიწა - ძირითადად სამინისტროს აპარატის შენობებზე დამაგრებული მიწები, აგრეთვე გზების მშენებლობისთვის გადმოცემული მიწები. 163,326 ლარის მიწა გზის მშენებლობის დამთავრების შემდეგ დაემატა გზის ღირებულებას.

N4 - სხვა დებიტორული დავალიანებები:

2009 წლის დასაწყისში სამინისტროს ბალანსზე რიცხულმა სხვა დებიტორულმა დავალიანებებმა 26 814,1 ათასი ლარი შეადგინა. აუდიტით დადგინდა, რომ საანგარიშგებო პერიოდში ადგილი ჰქონდა სხვა დებიტორული დავალიანებების როგორც ზრდას - 78 870,3 ათასი ლარით, ასევე კლებას - 21 822,6 ათასი ლარით. შედეგად, წლის ბოლოს სხვა დებიტორული დავალიანებების ნაშთმა - 83 861,8 ათასი ლარი შეადგინა.



ზემოაღნიშნული დავალიანებების ძირითადი ნაწილი მოდის საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და სსიპ - „ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრზე", რომელიც უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტებისა და ამ პროექტების თანამონაწილეობასა და თანადაფინანსებაზე გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში (ორგანიზაციული კოდი 25 03 02) ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო ავტომაგისტრალის სამშენებლო სამუშაოების დაფინანსებას. აღნიშნული სხვა დებიტორული დავალიანებების წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს სამშენებლო სამუშაოების შემსრულებელი კონტრაქტორი კომპანიებისათვის გადარიცხული ავანსის თანხები - სამუშაოების დაწყების ორგანიზებისა და მასალების შესასყიდად.

რაც შეეხება სხვა დებიტორულ დავალიანებათა ხანდაზმულობას, მათ გრაფიკულად შემდეგი სახე აქვს:



N5 - წმინდა ღირებულება:

	ა/გ შენიშვნა	
ნაშთი 31/12/2008		917,010,833.00
ზრდა		
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება		519,445,397.75
გრანტები		466,034.44
სხვა შემოსავლები		2,772,440.00
აქტივების უსასყიდლოდ მიღება		23,139,309.74
სხვა ეკონომიკური ნაკადი		5,356,116.00
სულ		1,468,190,130.93

კლება	
მომუშავეთა ანაზღაურება	7,359,497.59
საქონლისა და მომსახურების გამოყენება	38,063,678.41
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	30,991,352.83
სუბსიდიები	129,650,929.00
გრანტები	354,266.00
სოციალური უზრუნველყოფა	48,418.49
სხვა ხარჯები	1,141,788.43
აქტივების უსასყიდლოთ გაცემა	138,329,806.18
სხვა ეკონომიკური ნაკადი	20,665,246.00
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები	3,058,017.00
სულ	369,662,999.93
ნაშთი 31/12/2009	1,098,527,131.00

N4 - სხვა კრედიტორული დავალიანებები:

2009 წლის დასაწყისში სამინისტროს ბალანსზე რიცხულმა კრედიტორულმა დავალიანებებმა 15 074,5 ათასი ლარი შეადგინა. საანგარიშგებო პერიოდში ადგილი ჰქონდა სხვა კრედიტორული დავალიანებების როგორც ზრდას - 9 861,5 ათასი ლარით, ასევე კლებას - 8 944,8 ათასი ლარით. შედეგად, წლის ბოლოს სხვა კრედიტორული დავალიანებების ნაშთმა - 15 991,2 ათასი ლარი შეადგინა.



კრედიტორულ დავალიანებათა უმეტესობა მოდის საავტომობილო გზების დეპარტამენტზე. რაც შეეხება საანგარიშო პერიოდში დამატებით მათ წარმოშობას, ეს გამოწვეულია 2009 წლის ბოლოს შესრულებული და აუნაზღაურებელი სამუშაოებით, რომელთა გადახდა მომდევნო წელსაა მომხდარი და სამუშაოების

შემსრულებელი კომპანიებისათვის დაკავებული იქნა ხარისხის უზრუნველყოფის თანხები ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით (გათვალისწინებული იყო ხელშეკრულების პირობებით). ამ თანხების ანაზღაურება უნდა მოხდეს ობიექტის მიღებიდან ერთი წლის შემდეგ, სათანადო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.



3. მხარჯავი დაწესებულების მიერ „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პრიორიტეტებისა და ამ პრიორიტეტების მისაღწევად განხორციელებული პროგრამებისა და ღონისძიებების შედეგების მდომარეობა

3.1. აუდიტის შედეგად დადგენილი გარემოებები და მათი შეფასება:

„საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 42-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის ძირითად პრიორიტეტად, გზების მოვლა-შენახვის (მიმდინარე, პერიოდული შეკეთება, რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია, მშენებლობა და შენახვა ზამთრის პერიოდში) პროგრამის ფარგლებში, საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება იქნა დასახული. ძირითად ღონისძიებებად დასახული იქნა:

- შიდასახელმწიფოებრივი გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია, გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია, გზების მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში;

- აღმოსავლეთ-დასავლეთის გზების სატრანზიტო მაგისტრალის მშენებლობა;
- სამცხე-ჯავახეთის რეგიონში გზების მშენებლობა;
- სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები.

მოსალოდნელი შედეგები:

- საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურის განვითარება, მისი ხარისხის გაუმჯობესება;
- გზებზე ავტოტრანსპორტის და მგზავრთა შეუფერხებელი, უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფა;
- ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის ზრდა და ათვისება;
- სატრანსპორტო გადაზიდვების საერთაშორისო კორიდორებში საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის კონკურენტუნარიანობის გაზრდა;
- ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობის უზრუნველყოფა.

დასახული პრიორიტეტების მისაღწევად განხორციელებული პროგრამებისა და ღონისძიებების შედეგების შესახებ სამინისტროს მიერ წარმოდგენილი იქნა შემდეგი ინფორმაცია:

2009 წლის განმავლობაში დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა

1. პროგრამა: გზების მოვლა-შენახვის ხარჯები (მიმდინარე, პერიოდული შეკეთება, რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია მშენებლობა და შენახვა ზამთრის პერიოდში)

<u>მიღწეული შედეგები</u>

<u>„საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაციის“ ღონისძიებების ფარგლებში:</u>

- 2008 წლიდან 2009 წელს გარდამავალი ობიექტების 90 პროცენტზე სარეაბილიტაციო სამუშაოები დამთავრებულია, დანარჩენებზე მიმდინარეობს;

• 2009 წლის გეგმით გათვალისწინებულ ახალ ობიექტებზე უკვე გაფორმებულია ხელშეკრულებები, სამუშაოების ძირითადი ნაწილი დასრულებულია, ხოლო ნაწილი დასრულდება 2010 წელს;

• ობიექტების ნაწილი მოწყობილია და დანარჩენზე მიმდინარეობს ასფალტობეტონის და ცემენტობეტონის ახალი საფარების მოწყობა, ხიდებისა და სხვა ხელოვნური ნეგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია;

• სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით 2009 წელს ჩასატარებელი სამუშაოების ნაწილი დასრულებულია, ნაწილზე მიმდინარეობს მუშაობა.

„საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში" ღონისძიების ფარგლებში:

• 2009 წლის გეგმით გათვალისწინებული მიმდინარე შეკეთებით საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე მიმდინარეობდა გზის სავალი ნაწილის, წყალგამტარი ნაგებობების და სადრენაჟო სისტემების, მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებისა და გზის კეთილმოწყობის სამუშაოები.

თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ნატახტარი-აღაიანის 27-43 კმ მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის მეორე რიგის სამუშაოების ფარგლებში:

• ორზოლიანი გზა მოდერნიზირებული იქნა 4 ზოლიან ჩქაროსნულ ავტომაგისტრალად;

• მოეწყო სატრანსპორტო კვანძები, გზაგამტარები და განათების სისტემა;

• გაიზარდა ავტოტრანსპორტის გამტარუნარიანობა და შემცირდა გადაადგილების დრო;

• დასრულდა გზის კეთილმოწყობის, მეორადი გზების და მიერთებების სამუშაოები;

სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის ჩაქვი-მახინჯაურის მონაკვეთზე გვირაბის მშენებლობის II ეტაპის სამუშაოების ფარგლებში:

• დასრულდა სავენტილაციო და ჰიდროიზოლაციის მოწყობის სამუშაოები და დამონტაჟდა დანადგარების მართვის ავტომატური სისტემა;

• დამონტაჟებულია სადრენაჟო სისტემა;

• დასრულდა ბეტონის მუდმივი სამაგრის, ხანძარსაწინააღმდეგო რეზერვუარისა და ტროტუარების მოწყობის სამუშაოები;

• დასრულებულია გვირაბების დამაკავშირებელი შტოლნის გაყვანა;

• დასრულდა მოპირკეთების სამუშაოები;

• გვირაბში მოეწყო განათების სისტემა;

• გვირაბებში უზრუნველყოფილია ცალხმრივი რეჟიმით მოძრაობა;

• დასრულდა საინჟინრო კორპუსის მშენებლობა;

• დასრულების ფაზაშია გვირაბის პორტალებთან ფერდობების გამაგრების, სახანძრო სიგნალიზაციის და გვირაბში ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფის დარჩენილი სამუშაოები;

• სამუშაოები დასრულდა 2009 წლის დეკემბრის თვეში.

სოფელ ნარაზენსა და სოფელ საჯიჯაოს შორის მდინარე ჭანისწყალზე. აგრეთვე სოფელ ახუთსა და სოფელ ნოღას შორის მდინარე ცივზე ხიდების მშენებლობის ფარგლებში:

• აღნიშნული ხიდების სამშენებლო სამუშაოები დაიწყო 2008 წლის მაისის თვეში;

• მდინარე ცივზე სახიდე გადასასვლელის მშენებლობა დასრულდა 2009 წლის აპრილის ბოლოს;

• მდინარე ჭანისწყალზე დასრულებულია განაპირა, შუალედური ბურჯების და ლითონის კონსტრუქციის მალის ნაშენის მშენებლობა. ხიდის მშენებლობა მთლიანად დასრულდა 2009 წლის ნოემბრის თვეში.

სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის მე-100 კმ-ზე მდინარე კუბისწყალზე ახალი ხიდის მშენებლობის ფარგლებში:

• სამუშაოები დაიწყო 2009 წლის აპრილის თვეში;

• დასრულდა მარჯვენა მიმართულებაზე ხიდის მშენებლობა, მოძრაობა გაიხსნა პირველ აგვისტოს;

• დასრულდა მარცხენა მიმართულებაზე არსებული ხიდის დემონტაჟი;

• მარცხენა მიმართულებაზე დასრულდა ხიმინჯებისა და ბურჯების მოწყობის სამუშაოები. სამუშაოების მთლიანად დასრულება დაგეგმილია 2010 წლის იანვრის ბოლოს.

კოდა-თეთრიწყაროს საავტომობილო გზის მე-9 კმ-ზე ხიდის მშენებლობის ფარგლებში:

• დასრულდა საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;

• დასრულდა პროექტის ექსპერტიზა.

2. **პროგრამა:** უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტები და ამ პროექტების თანამონაწილეობასა და თანადაფინანსებაზე გათვალისწინებული ასიგნებები

მიღწეული შედეგები

თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის აღაიანი-იგოეთის 44-55კმ მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში:

• სამუშაოები დაიყო ორ ეტაპად, კერძოდ:

პირველი ეტაპი მოიცავს მარჯვენა მიმართულების ბეტონის საფარიანი ახალი საავტომობილო გზის მშენებლობას;

მეორე ეტაპი მოიცავს მარცხენა მიმართულების არსებული საავტომობილო გზის რეაბილიტაციას.

• პირველი ეტაპის სამუშაოები დასრულებულია. საავტომობილო გზის მარჯვენა მიმართულებაზე აშენდა ახალი ორზოლიანი ბეტონის საფარიანი გზა;

• მოეწყო სატრანსპორტო კვანძები, გზაგამტარები და განათების სისტემა;

• დასრულდა მეორე ეტაპის, არსებული საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები;

• დასრულდა გზის კეთილმოწყობის, მეორადი გზების და მიერთებების სამუშაოები;

• დასრულდა ოკამის გზაგამტარის მოდიფიკაციის სამუშაოები;

• სამუშაოები დასრულდა 2009 წლის მაისის თვეში.

<u>თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის ნატახტარი-აღაიანის 27-43 კმ მონაკვეთზე გამყოფ ზოლზე პარაპეტების მოწყობის სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში:</u>

• სამუშაოები მთლიანად დასრულებულია.

<u>თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის 20-21კმ მონაკვეთზე ბარიერების მოწყობის სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში:</u>

• სამუშაოები მთლიანად დასრულდა 2009 წლის მაისის დასაწყისში.

<u>თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის იგოეთი-სვენეთის 55-80 კმ მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში:</u>

• სამუშაოები დაიწყო 2008 წლის აპრილის თვიდან და აშენდა ახალი მარჯვენა მიმართულების ცემენტო-ბეტონის საფარიანი 9 კმ-იანი მონაკვეთი, რომელზეც მოძრაობა გაიხსნა 2009 წლის იანვრის თვიდან;

• დასრულებულია, როგორც მარჯვენა, ასევე მარცხენა მიმართულებაზე 44 კმ-ზე ცემენტო-ბეტონის საფარიანი გზის მშენებლობა, მიმდინარეობს არსებულ გზაზე პროექტით განსაზღვრული დარჩენილი სამუშაოები;

• ხელოვნური ნაგებობების მშენებლობის სამუშაოები დასრულების ფაზაშია;

• 2010 წლის ივნისისთვის დასრულდება გზის ამ მონაკვეთის მოდერნიზაცია 4 ზოლიან ჩქაროსნულ ავტომაგისტრალად.

<u>თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის იგოეთი-სვენეთის 55-80 კმ მონაკვეთზე იგოეთის გზაგამტარისა და მდ. ლეხურას ხიდების მშენებლობის სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში:</u>

• სამუშაოები დაიწყო 2009 წლის მაისის თვიდან;

• 2009 წლის 26 ნოემბერს, როგორც იგოეთის გზაგამტარის, ასევე მდ. ლეხურას ხიდზე გაიხსნა მოძრაობა მარჯვენა მიმართულებაზე. მარცხენა მიმართულებაზე მიმდინარეობს რკინაბეტონის ხიმინჯების მოწყობის სამუშაოები.

• მარცხენა მიმართულების ხიდების მშენებლობის დასრულება დაგეგმილია 2010 წლის ნოემბრისთვის.

<u>თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის 80-95 კმ სვენეთი-რუისის (სვენეთი-მდ. ლიახვის) 80-84,75 კმ მონაკვეთის მოდერნიზაცია-მშენებლობის სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში:</u>

• სამუშაოები დაიწყო 2009 წლის აგვისტოს თვიდან;

• დასრულდა სამობილიზაციო სამუშაოები;

• მიმდინარეობს მიწის ვაკისის მოწყობის სამუშაოები, გზაგამტარებისა და ხიდების საძირკვლების მშენებლობა;

• 2010 წელს დასრულდება ყველა ხელოვნური ნაგებობის მშენებლობა, მარჯვენა მიმართულებაზე დაიგება ცემენტო-ბეტონის საფარი და გაიხსნება მოძრაობა.

<u>თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის 80-95 კმ სვენეთი-რუისის (მდ. ლიახვზე ხიდის) 84.75-86.2 კმ მონაკვეთის მშენებლობის სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში:</u>

• სამუშაოები დაიწყო 2009 წლის აგვისტოს თვიდან;

• ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამობილიზაციო სამუშაოები.

<u>თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის 80-95 კმ სვენეთი-რუისის (მდ. ლიახვი-რუისი) 86.2-94.531 კმ მონაკვეთის მშენებლობის სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში:</u>

• სამუშაოები დაიწყო 2009 წლის აგვისტოს თვიდან;

• ამ ეტაპზე მიმდინარეობს გვირაბის, როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთ მხარის მიწის სამუშაოები, ასევე დაწყებულია გვირაბის პორტალების მოსაწყობად მიწის სამუშაოები;

• მიმდინარეობს ხელოვნური ნაგებობებისთვის მიწის და საფუძვლების ბეტონირების სამუშაოები;

- 2010 წლის დასაწყისიდან დაგეგმილია გვირაბების სრულმასშტაბიანი მშენებლობა.

ნაწილი III- აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, აუდიტის აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს, მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატში, ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი N96.

აუდიტორი:

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური _11._05._2010 წ.

ხელმოწერა თარიღი